დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404965169

ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქუჩა №6;
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქუჩა №6 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი №5
საფოსტო ინდექსი	0179
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.gas.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@gas.edu.ge

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995 32) 2 22 16 16
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ირმა მესხიშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 577 73 73 44
ელ-ფოსტა	principal@gas.edu.ge

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის ბრძანებები MES 5 22 0000871325, 03.08.2022წ. - ,,შპს ქართულ-ამერიკული სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ და MES 5 22 0000874881, 04.08.2022წ. - ,,შპს ქართულ-ამერიკული სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 03 აგვისტოს N871325 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე“.
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	ლელა ჯაში (თავმჯდომარე) თამარ ჩხიკვაძე (წევრი)
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	05 აგვისტო, 2022წ.
დასკვნის მომზადების თარიღი	6 - 11 აგვისტო, 2022წ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხიკვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

დასკვნის წარმოდგენის თარიღი	19 აგვისტო, 2022წ.

შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

	მქონე მოსწავლეთათვის			
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს			
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***ხარვეზი***
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.7.*	*შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“ - ის შინაგანაწესის 10.1 მუხლი განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის გარეგნულ იერსახეს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობაში მოიყვანოს ჩანაწერი „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ„ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 79/ნ, 30.08.2010წ. ბრძანების მე-6 მუხლით („მოსწავლის ჩაცმის წესი“) წარმოდგენილ რეგულაციებთან.*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლის სარგებლობაში არსებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა (ორ, დამოუკიდებელ მისამართზე არსებული შენობა-ნაგებობა) გამოყენებულია მიზნობრივად. კერძოდ, ვინაიდან ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის სასკოლო გარემო ესაჭიროებათ, დაწყებითი კლასის (I-VI კლასი) და საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII კლასები) მოსწავლეების გადანაწილება სხვადასხვა შენობებში საშუალებას აძლევს სკოლას სრულად გაითვალისწინოს მოსწავლეების ინტერესები, ფიზიკური გარემო მოარგოს მათ საჭიროებებს და სასწავლო პროცესი მაქსიმალურად უსაფრთხო, ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული გახადოს. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაში (ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი №5), სასწავლო სივრცეების კეთილმოწყობის პარალელურად, აქცენტირება კეთდება მოსასვენებელი სივრცეების მოწყობაზე. გარდა იმისა, რომ სკოლის შენობას აქვს საკმაოდ მოცულობითი ვერანდები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ კომფორტულად იგრძნონ თავი, ჰქონდეთ კომუნიკაცია ერთმანეთთან, შეასრულონ დავალებები და ა.შ. ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლის შენობაში დამატებით ეწყობოდა მოსწავლეთათვის განკუთვნილი შიდა სივრცე, რომელიც პირდაპირი დანიშნულების გარდა, შეიძლება გამოყენებულ იქნას თეორიული

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მეცადინეობების, ჯგუფური მუშაობისთვის, ღონისძიებებისთვის, შეხვედრებისთვის და ა.შ. არაფორმალური განათლების შეთავაზება მოსწავლეებისათვის სკოლის პრიორიტეტების რიცხვშია, რაც მოსწავლეებს სწავლა-სწავლების პროცესში თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებას სძენს. შედეგიც სახეზეა - სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებში, კონფერენციებში და უმაღლეს შეფასებებს იმსახურებენ. სკოლის განვითარებისათვის და საერთაშორისო გამოცდილების დასანერგად, ამავდროულად, მოსწავლეებისათვის დამატებითი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეთავაზების ფარგლებში, სკოლა გახდა ამერიკული აკრედიტაციის კანდიდატი წევრი. პროცესი მიმდინარეა და აკრედიტაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ სწავლა გააგრძელონ უცხოეთის წარმატებულ უნივერსიტეტებში.

დაწესებულების მისია	შექმნას თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, უსაფრთხო და მზრუნველი გარემო. მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული წამახალისებელი აქტივობებით, უახლესი სასწავლო მეთოდების გამოყენებით, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების სინთეზით მოსწავლეებმა შეიძინონ ცოდნა, გამოიმუშაონ კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნებისა და სწრაფად ცვალებად გარემოში

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ადაპტაციის უნარი.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**რეკომენდაცია:** სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების ნიმუში პედაგოგებთან იყო იდენტური და არ ითვალისწინებდა მასწავლებელთა სტატუსებს და სტატუსიდან გამომდინარე, ფუნქციებს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულებაში აესახა პედაგოგის სტატუსის შესაბამისი ფუნქციის შესრულების ვალდებულება (რეკომენდაციის საფუძველი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანება ,,მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და წესის შეწყვეტის წესის შესახებ“). **შესრულების სტატუსი:** შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“- ის მიერ, მიმდინარე წარმოებისას, წარმოდგენილი იყო პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები სტატუსების შესაბამისად.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“ სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ შენობაში კერძოდ, დაწყებითი კლასები ფუნქციონირებს მისამართზე: ნინო რამიშვილის ქუჩა №6; რომლის საერთო ფართია - 1790.35კვ.მ., ხოლო საბაზო-საშუალო საფეხური, მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი №5, რომლის საერთო ფართი - 3312.7 კვ/მ -ია. ნ. რამიშვილის №6 მდებარე სასწავლო შენობა 5 (ხუთი) სართულიანია. ვიზიტის პერიოდში, სკოლაში სრულდებოდა კოსმეტიკური, სარეაბილიტაციო სამუშაოები (სკოლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლის ინფრასტრუქტურა ექვემდებარება ნაწილობრივ განახლებას). სკოლის პირველ სართულზე მდებარეობს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	სასადილო, დახურული სპორტული დარბაზი და სხვა დამხმარე სივრცეები. საკლასო ოთახები 2-5 სართულებზეა განთავსებული. საკლასო ოთახების რაოდენობა შეადგენს 18-ს და საერთო ჯამში, კლასებში 325 ერთადგილიანი მერხი და სკამია. სკოლის მეორე შენობა (ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი №5), 7 (შვიდი) სართულიანია. ბოლო, მეშვიდე სართულზე განთავსებულია შეხვედრების ოთახი, რომლითაც სარგებლობენ როგორც სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია, ისე მოსწავლეები. სკოლის პირველ სართულზე სასადილო, სპორტული დახურული მოედანი და სხვა დამხმარე თუ ძირითადი ფართია. სასწავლო პროცესი 2, 3, 5 და 6 სართულებზე ხორციელდება. საერთო ჯამში, აღნიშნულ კორპუსში 23 საკლასო ოთახია, სადაც 300 ერთეული მერხი და სკამია განთავსებული. სკოლის მე - 4 სართულზე (შესასვლელი ჭავჭავაძის მხრიდან), მდებარეობს ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის და დაცვის, აგრეთვე ექიმის კაბინეტი, ლაბორატორია. სამასწავლებლო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი სივრცეა. აქ რამდენიმე, ფუნქციურად განსხვავებული ნაწილი გამოიყოფა, კერძოდ, როგორც სამუშაო და სათათბირო, ისე დასასვენებელი სივრცეები. სკოლის შენობას ორი შემოსასვლელი აქვს - ერთი ჭავჭავაძის გამზირიდან, ხოლო მეორე ,,მზიური პარკის,, მხრიდან. აღსანიშნავია, რომ პარკთან

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	სიახლოვე (ესაზღვრება სკოლის შენობას), დამატებით შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისარგებლონ მისი ინფრასტრუქტურით, გარკვეულ შემთხვევებში დაესწრონ გასვლით გაკვეთილებს, მონაწილეობა მიიღონ მრავალფეროვან სპორტულ თუ შემეცნებით აქტივობებში. ორივე შენობაში განთავსებულია მოსწავლეთათვის განკუთვნილი, თანამედროვე სტანდარტების მქონე სასადილო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობებით. საინტერესო და სკოლის მოსწავლეთა საჭიროებებზეა მორგებული შენობის გარე სივრცეები - სკოლის ეზო და ყველა სართულზე განლაგებული ვერანდები (დაცული მაღალი ბადით), რომლებიც შესვენებაზე, მორიგე მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქუჩა №6 ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი №5
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.14.14.005.145 01.14.14.012.052.01.501 01.14.14.012.052.01.502 01.14.14.012.052.01.503

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

	01.14.14.012.052.01.504 01.14.14.011.196
კვ.მ.	1492.00 კვ.მ (ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი №5) და 420.00 კვ.მ (ნინო რამიშვილის ქუჩა №6)
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • შიდა აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ორივე შენობაში განთავსებულ საკლასო ოთახებს ბუნებრივი განათება აქვს. სასწავლო სივრცეებში განთავსებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი მერხები და სკამები. საკლასო ოთახები აღჭურვილია დაფებით, მათ შორის, ,,ჭკვიანი დაფებითაც". თითქმის ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია პროექტორი. როგორც სკოლის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის დროს აქტიურად გამოიყენება და სწავლა-სწავლების პროცესს მოდერნიზებულს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	და საინტერესოს ხდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასწავლო ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“ -ის ორივე შენობას აქვს ღია და დახურული სპორტული დარბაზი, გოგონების და ვაჟების კეთილმოწყობილი გასახდელებით. სპორტულ დარბაზებში და გარე მოედნებზე განთავსებულია სპორტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ჩოგბურთის მაგიდები, კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები და ა.შ. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ,,მზიური კორტებთან“ და შესაბამისად, მოსწავლეებს შეუძლიათ დაეუფლონ ჩოგბურთს. როგორც გაირკვა, პანდემიამდე, მოსწავლეებს სკოლა სთავაზობდა ცურვის გაკვეთილებსაც (შესაბამისი ხელშეკრულები საფუძველზე), თუმცა, გარკვეული მიზეზების გათვალისწინებით, პროცესი შეჩერდა. სკოლა გეგმავს კვლავ ხელმისაწვდომი გახადოს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

	მოსწავლეებისათვის ზემოაღნიშნული სერვისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • სკოლის აზომვითი ნახაზი; • ხელშეკრულება ,,მზიური კორტებთან"; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისათვის განკუთვნილი ლაბორატორიები, ასევე, კომპიუტერული ლაბორატორია. აღსანიშნავია, რომ სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვისაც არის საბუნებისმეტყველო კაბინეტი (მისამართზე: ნინო რამიშვილის ქუჩა №6 - ში მდებარე კორპუსი) სათანადო ლაბორატორიული ინვენტარით. კომპიუტერული ლაბორატორია შენობის 4 სართულზეა განლაგებული და იქ 17 (ჩვიდმეტი) პერსონალური კომპიუტერი, 2 (ორი) პორტატული კომპიუტერი და პროექტორია განთავსებული. რაც შეეხება საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ლაბორატორიებს (ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	№5), უკვე არსებული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლებისათვის განკუთვნილი ლაბორატორია სკოლის მე-4 სართულზეა განთავსებული (ი. ჭავჭავაძის მხრიდან, პირველ სართულზე). იგი აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობებით, რომლებიც განთავსებულია კედლის კარადებში, აქვს გამწოვი, სველი წერტილი (ონკანი), აქვს ბუნებრივი განათება. ვიზიტის დროს, სკოლაში მიმდინარეზდა ახალი, ქიმიის სწავლებისათვის განკუთვნილი ლაბორატორიის მოწყობა (სკოლის მე-3 სართულზე), სადაც შესაძლებელი იქნება კვლევაზე დაფუძნებული ქიმიის გაკვეთილების ჩატარება. კომპიუტერული ლაბორატორია სკოლის მე-5 სართულზეა განთავსებული. აქ 18 პერსონალური კომპიუტერია, რომელიც ჩართულია ინტერნეტში. გარდა ამისა, არის საბეჭდი ტექნიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ზუსტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. • რეაქტივების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტროენერგიით, ასევე, გააჩნია დამოუკიდებელი დენის წყარო (2 გენერატორი). სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა (საქვაბე სისტემები, ორივე კორპუსის შემთხვევაში, დამონტაჟებულია შენობის გარეთ, დამხმარე სივრცეებში). სკოლის ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. გამონაკლისს წარმოადგენს (ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი №5) სკოლის ერთი საკლასო ოთახი, რომელიც დირექციის განმარტებით, თვითმმართველობის შეხვედრებისათვის არის განკუთვნილი. ორივე შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები როგორც გოგონებისთვის, ასევე ვაჟებისათვის და პედაგოგებისათვის (ადაპტირებული სველი წერტილები განხილული იქნება ქვემოთ).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შენობის ვიზუალური დათვალიერება, • კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლის ორივე შენობაში განთავსებულია ბიბლიოთეკა, სადაც მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ გაეცნონ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	მხატვრულ თუ სასწავლო ლიტერატურას, ისარგებლონ სასკოლო სახელმძღვანელოებით და ა.შ. სულ, სკოლის სარგებლობაში 3298 ერთეული წიგნია. აქედან - 1294 სასწავლო და 1994 - მხატვრულ/შემეცნებითია. ბიბლიოთეკაში მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის განახლება. სასურველი სახელმძღვანელოს მოძიება შესაძლებელია ანბანური საძიებო კატალოგით. ბიბლიოთეკაში არის საინვენტარო წიგნი, ფორმულარები და სხვა დამხმარე მასალა. სკოლას წარმოდგენილი აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საიდანაც ირკვევა, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველა მოსწავლეს და თანამშრომელს, კვირაში 5 დღის განმავლობაში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე. გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულის კომპიუტერული ტექნიკა და საბეჭდი მოწყობილობები. სკოლის ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკა (მასში დასაქმებული კადრი) ეწევა კულტურულ–საგანმანათლებლო და საინფორმაციო მუშაობას და იყენებს ამ მიმართულებით მუშაობის როგორც ტრადიციულ, ისე ინოვაციურ მეთოდებს, რაც მიმართულია, მკითხველებში დამოუკიდებელი მომხმარებლის უნარების ფორმირებისკენ - წიგნის და სხვა მედია ინფორმაციის მატარებელი საშუალებების გამოყენების, ძებნის, შერჩევის და ინფორმაციის კრიტიკული შეფასების სწავლებისაკენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	• ბიბლიოთეკის დებულება; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან; • ვიზუალური დავალება; • პერიოდიკის ხელშეკრულება; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის გარემო სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე. ორივე სკოლის შენობაში, კიბეებზე, დამონტაჟებულია მოძრავი პანდუსები. გარდა ამისა, სკოლაში ადაპტირებული სველი წერტილებია. კერძოდ, დაწყებითი სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზეა. მეორე კორპუსში - პირველ და მეოთხე სართულებზე. გარდა ამისა, შენობაში სათანადოდ მოწყობილი რესურსოთახიც არის. ვიზიტის პერიოდში, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე არ ირიცხებოდა. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლის ყველა სივრცის მაქსიმალური ხელმისაწვდომის მიზნით, ორივე სკოლის შენობაში, ერთ კონკრეტულ სართულზე (მისამართზე: ნინო რამიშვილის ქუჩა №6 - მეორე სართულზე) და (მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი №5 - მეოთხე სართულზე

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	(ჭავჭავაძის მხრიდან პირველი სართული), განთავსებულია ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი (დაწყებითი საფეხურის სკოლაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს. სკოლის სარგებლობაშია 41 პერსონალური კომპიუტერი და უწყვეტი კვების წყაროები (UPS), 1 მონობლოკი, 26 პორტატული კომპიუტერი, 10 კომბინირებული პრინტერი, 11 ფერადი ჭავლური პრინტერი. სკოლა ფლობს 21 პროექტორს, 7 ინტერაქტიულ (“Smart board”) დაფას. სკოლის ვებ. გვერდი - https://www.gas.edu.ge/ ასრულებს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. იგი საკმაოდ ინფორმატიულია და შეიცავს მონაცემებს ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიც

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	არის: ინფორმაცია სკოლის შესახებ (სკოლის მისია, ისტორია, სკოლაში მიღება და ა.შ). გარდა ამისა, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს დეტალური ინფორმაცია სკოლის სტრუქტურის და სტრუქტურული ერთეულების შესახებ. დიდი ადგილი ეთმობა სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგების მიღწევებსაც, კერძოს, განხორციელების თარიღების შესაბამისად, ვებ. გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა წარმატებების შესახებ ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში. ხელმისაწვდომია ვებ. გვერდზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზა, ინფორმაცია სკოლის პარტნიორების შესახებ, ამერიკული პროგრამების თაობაზე და ა.შ. რადგან, სკოლის ვებ. გვერდზე განთავსებულია სკოლის მოსწავლეების ფოტო და ვიდეომასალა, გარდა ამისა, აქ ვხვდებით სხვა პერსონალურ მონაცემებსაც, ექსპერტები დაინტერესდნენ, ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი თანხმობა სკოლის მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან. როგორც აღმოჩნდა, მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-5 მუხლი არეგულირებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებს. კერძოდ, ხელშეკრულებაზე ხელმოწერილით მშობელი ადასტურებს, რომ თანახმაა სკოლამ სასკოლო, ან არასასკოლო აქტივობების მიმდინარეობისას განახორციელოს მისი შვილის ფოტო ან ვიდეო გადაღება და მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს საჭიროებისამებრ, მათ შორის, განათავსოს სოციალურ მედიაში, ინტერნეტსივრცეში და ა.შ. ხელშეკრულების 5.3

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	მუხლის თანახმად, მშობელი აცხადებს თანხმობას მისი შვილის შესახებ პერსონალური ინფორმაცია დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ფარგლებში. სკოლა აქტიურობით გამოირჩევა სოციალურ ქსელებშიც. კერძოდ - https://www.facebook.com/GeorgianAmericanSchool. აღსანიშნავია, რომ სკოლის ფეისბუკის გვერდს 25 ათასამდე მიმდევარი ჰყავს. სკოლის ინტერნეტპროვაიდერები არიან შპს ,,მაგთიკომი“ და სს ,,სილქნეტი“. ვიზიტის პერიოდში, არდადეგების მიუხედავად, სკოლაში ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებ -გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი; • ხელშეკრულება ვებ.გვერდის შექმნისა და მომსახურების შესახებ; • კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

 ბ.ა.

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლას. Georgian-American School“ შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები (საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა) და გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს ,,სახანძრო სიგნალიზაცია ,,ნაპერწკალთან“ (N3, 14.02.2018წ.), რომლის საფუძველზე, სკოლის შენობაში დამონტაჟდა ავტომატური სამისამართო სახანძრო სიგნალიზაცია და განხორციელდა პროგრამირება. სკოლის სახანძრო სისტემა წარმოდგენილია სამისამართო ბოლის დეტექტორებით (სულ 85 ცალი), სამისამართო ტემპერატურის დეტექტორებით (სულ 2), ხმოვანი, მანათობელი სირენით, სახანძრო და საკაბელო არხებით და ა.შ. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ შემდეგ დოკუმენტაციას - საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქცია-მოვალეობები, უსაფრთხოების სამსახურის დაგეგმილ და განხორციელებული აქტივობების ანგარიში, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, უსაფრთხოების სამსახურის შეხვედრების ამსახველ ოქმები, ბრძანებას საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი, ბრძანება სკოლის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	შენობაში არსებული ცეცხლმაქრების და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამართულობაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ, შრომის უსაფრთხოების საკითხში დასაქმებულთა წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ და ა.შ. გარდა ამისა, სკოლის შენობების ყველა სართულზე, განთავსებულია ცეცხლმაქრები, რომლებიც დამუხტულია. სპეციალურ კარადებში, განთავსებულია მოქნილი მილები, რომლებიც მიერთებულია წყალმომარაგების სისტემასთან. რამდენიმე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა; • უსაფრთხო სკოლის საქაღალდე (შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით); • ხელშეკრულება შპს ,,სახანძრო სიგნალიზაცია ,,ნაპერწკალთან“ (N3, 14.02.2018წ.); • ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე შენობის მთელ პერიმეტრზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები (გეგმები შედგენილია ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ). გარდა ამისა, დერეფნებში და სკოლის სხვა სივრცეებში ვხვდებით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გასასვლელის მანათობელ მანიშნებლებს (Exit). ორივე შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელები (საბაზო-საფეხურის მოსწავლეებისათვის განკუთვნილ შენობაში სრულდებოდა დამატებითი საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის სამუშაოები). სკოლაში პერიოდულად ტარდება საგანგებო სიტუაციებში რეაგირების იმიტაციები, რაც აღრიცხულია სპეციალურ ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საევაკუაციო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები სკოლაში რამდენიმე დოკუმენტით რეგულირდება. კერძოდ, დოკუმენტი, სახელწოდებით, ,,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“. გარდა ამისა, სკოლას შედგენილი აქვს სამედიცინო სამსახურის დებულება, რომლითაც რეგულირდება მოსწავლეთა გეგმური, პროფილაქტიკური და სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სკოლის მოსწავლეთა სამედიცინო კონტროლი. დოკუმენტში გაწერილია სამედიცინო სამსახურის ამოცანები და ფუნქციები, სამედიცინო სამსახურის უფლებები და მოვალეობები,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სტრუქტურა. სკოლას შემუშავებული აქვს ექიმის/ექთნის სამსახურებრივი ინსტრუქციაც, რომელიც აღწერს ექიმის/ექთნის ფუნქციებს, სამსახურებრივ მოვალეობებს და პასუხისმგებლობას. ორივე შენობაში არსებული სამედიცინო კაბინეტი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებას No41/ნ/01-23/ნ, 21/03/2022წ. - ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ". სკოლას ჰყავს ორი ექიმი (კვალიფიკაცია - პედიატრი) და ფსიქოლოგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; • სამედიცინო სამსახურის დებულება, • სამედიცინო ინვენტარის და მედიკამენტების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, • ექიმის/ექთნის სამსახურებრივი ინსტრუქცია, • ხელშეკრულება სკოლის ექიმთან. • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შეთანხმებული აქვს განათლების, მეცნიერები, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. გარდა ამისა, სკოლას შედგენილი აქვს ,,შპს ქართულ-ამერიკული სკოლის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება“, რომლის ძირითადი ამოცანაა სკოლის შენობაში, ეზოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგისა და სკოლის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დოკუმენტის მე-4 მუხლის თანახმად, სამსახურის მიერ სკოლის შენობების და ტერიტორიის დაცვა ხორციელდება: სტაციონარული ადგილებით, გარე და შიდა პერიმეტრის სამეთვალყურეო კამერებით, დაცვის სხვა ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციით, ტექნიკურ საშუალებათა დანერგვით. ,,შპს ქართულ-ამერიკული სკოლის დაცვის თანამშრომლის სამსახურებრივი ინსტრუქცია,,, კი არეგულირებს სკოლის მოსწავლეების და თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სკოლის შენობის, ნაგებობების, ქონების, სკოლის გარე პერიმეტრის დაცვა სასკოლო და არასასკოლო დროს და ა.შ. წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ დამრიგებლები და მორიგე მასწავლებლებიც. ისინი ახორციელებენ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	კონტროლს და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვასა და ამაღლებაზე, ეხმარებიან კლასის მასწავლებლებს სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის სწორად განხორციელებაში, აკონტროლებენ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა გაცდენებს და დაგვიანებებს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობას ან პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი; • სკოლის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება; • სკოლის დაცვის თანამშრომლის სამსახურებრივი ინსტრუქცია. • სასკოლო სასწავლო გეგმა • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლის Georgian-American School“ ორივე შენობის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრი (მათ შორის, კიბის უჯრედები, დერეფნები, ფოიე) კონტროლდება უსაფრთხოების კამერებით, რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლის დაცვის სამსახური ახორციელებს კამერების მონიტორინგს, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის შესასვლელებში, დაცვის სამსახურისთვის გამოყოფილ სივრცეებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სათვალთვალო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტი შინაგანაწესის სახით. შინაგანაწესი უზრუნველყოფს სკოლის მისიის შესრულებას, სკოლაში აკადემიური წარმატების ხელშეწყობისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას და ჩამოყალიბებას. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, დასაქმებულის სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესს, სამუშაო დროს და პირობებს, სახდელებს შრომის დისციპლინის დარღვევისთვის, წახალისების ფორმებს, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის და კლასიდან კლასში გადაყვანის რეგულაციებს, მშობლის უფლება-მოვალეობებს, მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს, მასწავლებლის უფლება-მოვალეობებს, სკოლის ადმინისტრაციის უფლებებს და ვალდებულებებს, შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგად ინსტრუქციებს. სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება და მისი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა სკოლაში დასაქმებულ ნებისმიერ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პირზე, მიუხედავად მისი თანამდებობისა, სკოლის მოსწავლეებზე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ მოსწავლეთა მშობლებზე. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი, ასევე წახალისების ფორმები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შინაგანაწესის 6.1 მუხლში გაწერილია წახალისების სახეები; მადლობის გამოცხადება, პრემიის გაცემა, სიგელის გადაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. სკოლის წარმომადგენელი წახალისებას იღებს სამუშაო მოვალეობების სანიმუშო შესრულებისათვის, კეთილსინდისიერი მუშაობისათვის, ნოვატორობისათვის, აღსაზრდელების (მოსწავლეების) სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებებისთვის. გარდა ამისა, შინაგანაწესში დეტალურადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომის ნუსხა და გადაცდომასთან დაკავშირებული რეგულაციები. შინაგანაწესის 10.1 მუხლი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის გარეგნულ იერსახეს. კერძოდ, ჩანაწერის მიხედვით, მოსწავლეს ეკრძალება სკოლაში მისვლა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შეუფერებელი ვარცხნილობით, ჩაცმულობით და მაკიაჟით“. ზემოაღნიშნული ჩანაწერი გარდა იმისა, რომ ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, აღემატება ,,მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 79/ნ, 30.08.2010წ. ბრძანების მე-6 მუხლით (,,მოსწავლის ჩაცმის წესი“) წარმოდგენილ რეგულაციებს (,,მოსწავლე სკოლაში

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

	ცხადდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაფერისი სამოსითა და აქსესუარებით,,). სკოლის წარმომადგენელმა გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე შინაგანაწესის ეს ნაწილი დაექვემდებარებოდა განხილვას. *შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School" - ამ წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, როგორც სკოლის N14, 17.08.2022წ. წერილიდან ირკვევა, სკოლამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და შინაგანაწესში შეიტანა ცვლილება (იხ. დანართი, დირექტორის ბრძანება N01/10-22, თარიღი - 16.08.2022წ. - ,,შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School"-ის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ).* სკოლას შემუშავებული აქვს წესდება. სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის ასევე შემუშავებულია სხვადასხვა პოზიციებისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციები და დებულებები: დირექტორის, ბიბლიოთეკარის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, დირექტორის მოადგილის, საქმეთა მმართველის, საინფორმაციო მენეჯერის, დაცვის სამსახურის, ფსიქოლოგის, დამლაგებლის, მზარეულის და სხვა. შემუშავებულია ასევე სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლის Georgian-American School“ შინაგანაწესი; • შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლის Georgian-American School“ წესდება; • სტრუქტურული ერთეულების სამსახურებრივი ინსტრუქციები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა 2018-2024 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. ექსპერტთა მიერ შესწავლილი 2018-2024 სასწავლო წლების შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School,, - ის სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, მიზნებს და მიმართულებებს, მეთოდოლოგიას და განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას და საფრთხეებისა და შესაძლებლობების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	განსაზღვრას ყოველწლიური SWOT ანალიზის საფუძველზე. სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადის პარალელურად, მოცემულია შეფასების სტრატეგიები და კრიტერიუმები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს დასახული მიზნების წარმატებით ან წარუმატებლად განხორციელებას. სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი მიმართულებით მუშაობა: • პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება; • საერთაშორისო შედეგებზე ორიენტირების გაზრდა; • სწავლება/ სწავლის ხარისხის ამაღლება; • თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება; • მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია; • სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება; • უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართულია სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული. აქტიური მონაწილეობა ეხმარება სკოლის თითოეულ თანამშრომელს სკოლის მიზნებისა და ამოცანების გააზრებაში, არსებული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაში, გარემოს ცვლილებებზე სწრაფ რეაგირებასა და სიახლისთვის მზადებაში. გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის მნიშვნელოვანი ეტაპია სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება, რომლის შედეგები იძლევა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. მონიტორინგსა და შეფასებას ყოველწლიურად ახორციელებს ხარისხის მართვის ჯგუფი. ქართულ-ამერიკულ სკოლაში მონიტორინგის განხორციელება მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს, ესენია: • ინფორმაციის შეგროვება; • ინფორმაციის მომზადება ანალიზისთვის; • ინფორმაციის ანალიზი; • დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება, ანგარიშის მომზადება; • უკუკავშირი/რეაგირება შეფასების შედეგებზე. 2022-2023 სასწ. წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტში 6 მიმართულებაა გამოყოფილი: 1. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება; 2. სწავლება/ სწავლის ხარისხის ამაღლება; 3. მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია; 4. სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; 5. საერთაშორისო შედეგებზე ორიენტირების გაზრდა; 6. თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება. სამოქმედო გეგმის პროექტი გამომდინარეობს 6 წლიანი სტრარტეგიული გეგმიდან და ასახავს სკოლის გრძელვადიან მიზნებს, ასევე ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... 
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი; • 2018-2024 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესი შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. წესის თანახმად, სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. სარეგისტრაციო ჟურნალები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით: • გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი; • მოსწავლის ჩარიცხვის და ამორიცხვის რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; სკოლას ჰყავს საქმის მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზეც. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლას შემუშავებული აქვს საქმეთა მმართველის სამსახურებრივი ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც გაწერილია მისი ფუნქციები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....


ბ.ა.

	და უფლება-მოვალეობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული და გასული კორესპონდენციების, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები; • საქმისწარმოების ერთიანი წესი; • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..... თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ბ.ა.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 206 (ორასექვსი) გვერდი.

.....

.....

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი: 19.08.2022წ.

გვერდების რაოდენობა: 41 (ორმოცდაერთი) გვერდი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.